



USAID | **CAUCASUS**
FROM THE AMERICAN PEOPLE

კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზემოქმედების შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია საქართველოს რეგიონებში

ადგილობრივ თვითმმართველობათა შესაძლებლობების ანალიზი:
შემაჯამებელი ანგარიში

ადგილობრივ თვითმმართველობათა შესაძლებლობების შემაჯამებელი ანგარიში მომზადდა პროექტის “კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზემოქმედების შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია საქართველოს რეგიონებში“ ფარგლებში. ხელშეკრულების ნომერი AID-114-A-12-00001 .

მოცემული ანგარიშის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის დიდსულოვანი მხარდაჭერის შედეგად და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ძალისხმევის საფუძველზე. პასუხისმგებლობა მოცემულ დოკუმენტში ასახული ინფორმაციისა და მასში გამოთქმული მოსაზრებების თაობაზე ეკისრება საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციას და საკონსულტაციო კომპანია ACT-ის და ის არ წარმოადგენს აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ან აშშ მთავრობის შეხედულებებს.

მომზადდა აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) განხილვისათვის:

USAID/Caucasus

ამერიკის საელჩო

ჯ. ბალანჩინის ქ. #11

თბილისი 0131,

ტელ: +995 (32) 254 4147

www.usaid.gov

1. წინასიტყვაობა

ავტორები მადლობას უხდებიან ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს საქართველოს წარმომადგენლობას (USAID/Caucasus) პროექტისადმი გაწეული მხარდაჭერისათვის. ასევე, ავტორებს სურთ მადლობა გადაუხადონ პროექტის პარტნიორებს და სამთავრობო უწყებებს - ენერგეტიკის სამინისტროსა და გარემოს და რესურსების დაცვის სამინისტროს მჭიდრო თანამშრომლობისათვის.

სარჩევი

1.	წინასიტყვაობა.....	3
2.	შესავალი.....	5
3.	კვლევის მეთოდები.....	6
4.	მიმოხილვა: წინაპირობა და დასკვნები.....	6
4.1	საქართველოს სამართლებრივი ჩარჩო: გარემოსდაცვითი მართვა.....	7
4.2	ცხრილი 5. როლებისა და პასუხისმგებლობების დაყოფა: კერძო სექტორი, ეროვნული და მუნიციპალური ხელისუფლება.....	7
4.2.1	<i>მაგალითი: საქართველოს ტყის კოდექსი.....</i>	10
4.3	ორგანიზაციული გაუმჯობესება და შესაძლებლობების გაზრდა.....	11
4.3.1	<i>გრძელვადიანი ხედვა.....</i>	11
4.3.2	<i>ორგანიზაციული მხარდაჭერა კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის და შერბილების ზომების აქტივობებისთვის.....</i>	12
4.4	ფინანსური გაუმჯობესება.....	13
5.	ხუთი საპილოტე მუნიციპალიტეტი: ძირითადი შედეგები.....	15
5.1	ფუნქციების, როლებისა და პასუხისმგებლობების დაყოფა.....	15
5.2	ფინანსური რესურსები.....	16
5.3	ადამიანური რესურსები.....	17
6.	დასკვნა:.....	17

2. შესავალი

2012 წლის აპრილში, შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მხარდაჭერით, საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის ეროვნულმა ასოციაციამ დაიწყო პროგრამის „საქართველოს რეგიონებში კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და ზეგავლენის შერბილების ზომების ინსტიტუციონალიზაცია“ (ICCAMRG) განხორციელება. USAID-ის დახმარებით, პროექტმა ჩაატარა საქართველოს მუნიციპალიტეტების იმ საბაზისო საჭიროებების სიღრმისეული ანალიზი, რომლებიც აუცილებელია კლიმატის ცვლილების შედეგების შესარბილებელი ღონისძიებებისა და ადაპტაციის შეთავაზებული ზომების გასატარებლად.

წინამდებარე ანგარიში სახელწოდებით „ადგილობრივ თვითმმართველობათა შესაძლებლობების ანალიზი“ არის პირველი შეფასება, რომელიც წარმოადგენს საქართველოს მუნიციპალიტეტების გარემოს დაცვასა და კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ ინსტიტუციური მოწყობის სიღრმისეულ კვლევას. ანალიზის მიზანია დახმარება გაუწიოს როგორც მუნიციპალიტეტებს, ასევე სხვა დაინტერესებულ მხარეებს კლიმატის ცვლილების საკითხებთან დაკავშირებული გეგმების დასახვისა და განხორციელების საქმეში.

გარდა იმისა, რომ ანალიზი წარმოგვიდგენს ხუთი მუნიციპალიტეტის შესაძლებლობების შეფასებას, ის ასევე მოიცავს:

- საქართველოს საკანონმდებლო ჩარჩოს ანალიზს, რომელიც მოიცავს რიგ სახელმძღვანელო დოკუმენტებს და შესაბამის გარემოსდაცვით კანონმდებლობას;
- მუნიციპალიტეტის სამართლებრივი და ორგანიზაციული ჩარჩოს მიმოხილვას, რომლებიც კლიმატის ცვლილების საკითხებს ეხება;
- შესაბამისი ინსტიტუციური ჩარჩოს ანალიზს ხუთი საპილოტე მუნიციპალიტეტის ფარგლებში;
- მუნიციპალიტეტის დონეზე გარემოსდაცვით მართვასთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესის მიმოხილვას;
- ადგილობრივ სამართლებრივ ჩარჩოს ანალიზს და აღწერით ცნობებს იმის შესახებ, თუ რა პასუხისმგებლობები და როლი აქვთ ეროვნულ და ადგილობრივ ხელისუფლებას გარემოსდაცვით მართვასთან დაკავშირებით;
- ეროვნული და მუნიციპალური ხელისუფლების მართვის სისტემის ანალიზს, დაკავშირებულს გარემოსდაცვით საკითხებთან;
- რეკომენდაციებს ეროვნული და მუნიციპალური ხელისუფლების მიერ მომავალში განსახორციელებელი ნაბიჯების შესახებ.

ადგილობრივ თვითმმართველობათა შესაძლებლობების ანალიზის დანიშნულებას იყოს გზამკვლევი დოკუმენტი საქართველოს ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებათათვის, რათა მოხდეს ამჟამინდელი რეალობის შეფასება ადგილზე და ასევე, იმ კანონმდებლობის შეთავაზება, რომელიც დაეხმარება მუნიციპალურ ხელისუფლებას კლიმატის ცვლილებასთან დაკავშირებულ საკითხებთან გამკლავებაში.

3. კვლევის მეთოდები

ანალიზის ძირითადი მიზანია საქართველოს მუნიციპალიტეტების შესაძლებლობების შეფასება ხუთ საპილოტე მუნიციპალიტეტში შემდეგი ტიპის ინფორმაციის შეგროვების გზით: წყლის რესურსების მართვა, ნარჩენების მართვა, კლიმატის ცვლილება, გაუდაბნობა, ტყის რესურსების მართვა, მინერალური რესურსების გამოყენება, ბუნებრივი კატასტროფები და მიწის რესურსების მართვა. მკვლევარებმა შეარჩიეს ახმეტის, დედოფლისწყაროს, მესტიის, ქობულეთისა და თვითმმართველი ქალაქი ფოთის მუნიციპალიტეტები, რადგან ეს ტერიტორიები წარმოადგენენ სხვადასხვა გარემოს დაცვით ზონას და განიცდიან კლიმატის ცვლილების ნაირსახეობას და გარემოს დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებს.

იმისათვის, რომ კვლევისათვის შეგროვებულიყო თვისებრივი შედეგები, მკვლევარებმა ჩაატარეს ჯგუფური გასაუბრება მუნიციპალიტეტის საკრებულოების და გამგეობების თანამშრომლებთან. გარდა ამისა, მკვლევარებმა ჩაატარეს სიღრმისეული ინტერვიუები შესაბამისი სფეროს სპეციალისტებთან და ექსპერტებთან, რათა მიეღოთ რელევანტური ინფორმაცია. ჯამში, მკვლევარებმა ჩაატარეს 5 ჯგუფური გასაუბრება, საშუალოდ 8-10 ადამიანით თითოეულ ჯგუფში, და 17 სიღრმისეული ინტერვიუ. პროექტის გუნდის წევრები მონაწილეობას იღებდნენ გამოკითხული ექსპერტების წინასწარ შერჩევაში.

4. მიმოხილვა: წინაპირობა და დასკვნები

კვლევამ ცხადყო, რომ არჩეული წარმომადგენლები 5 შერჩეულ ადგილობრივი ხელისუფლების ერთეულში, ძირითად შემთხვევებში, არ მიმართავენ მათ მუნიციპალიტეტებში მდებარე ბუნებრივი რესურსების მართვის კონტროლს. ადგილობრივი წარმომადგენლები, ძირითად შემთხვევებში, არ მონაწილეობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც ამ რესურსების დაცვასა და გამოყენებას ეხება მაშინაც კი, როდესაც საქართველოს კანონმდებლობა ანიჭებს მათ გარკვეულ უფლებებსა და პასუხისმგებლობებს. გარდა ამისა, მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ადგილობრივი წარმომადგენლები არ იყვნენ საკმარისად ინფორმირებულები გარემოსდაცვითი მართვის საკითხების შესახებ მათი შესაბამისი მუნიციპალიტეტების ფარგლებში.

გარდა ამისა, 5 საპილოტე მუნიციპალიტეტის ფარგლებში მკვლევარებმა ვერ მოიპოვეს ვერც რაოდენობრივი და ვერც თვისებრივი მონაცემები, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სტატუსს. ვინაიდან საპილოტე მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები არ ფლობენ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მართვის სამართლებრივი მხარის ცოდნას, ისინი ვერ უზრუნველყოფენ შესაბამისი ინფორმაციის მუდმივად შეგროვებას. შესაბამისად,

ადგილობრივ წარმომადგენლებს არ გააჩნდათ უნარი მიიღონ ინფორმაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილება შერბილების და/ან ადაპტაციის საჭირო ღონისძიებებისა და ზომების შესახებ.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ICCAMGR ეროვნულ და მუნიციპალურ ხელისუფლებებს წარუდგენს რიგ რეკომენდაციებს, რომლებიც მოიცავენ საკანონმდებლო, ინსტიტუციური მოწყობისა და ფინანსურ საკითხებს.

4.1 საქართველოს სამართლებრივი ჩარჩო: გარემოსდაცვითი მართვა

საქართველოს სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და შერბილების ზომების საკითხებთან მიმართებაში შეიძლება დაიყოს სამ ეტაპად:

- 1994-2004. საქართველომ მოახდინა რამდენიმე გადამწყვეტი საერთაშორისო შეთანხმების რატიფიცირება და დაიწყო სამართლებრივი ჩარჩოს შემუშავება;
- 2004-2012: დაიწყო გარემოს დაცვის და ბუნებრივი რესურსების დერეგულაციის პროცესი. კონტროლისა და ზედამხედველობის მექანიზმები იქნა ან კანონმდებლობიდან ამოღებული, ან დასუსტებული.
- 2013: გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო იქნა გაძლიერებული და რამდენიმე გადამწყვეტი გარემოსდაცვითი კანონი იქნა დაბრუნებული უკან.

მიუხედავად ამისა, ადგილობრივი ხელისუფლების შესაძლებლობების გაუმჯობესების და როლის გაზრდის კუთხით გარემოს დაცვის და განსაკუთრებით, კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციისა და შერბილების ზომების სფეროში არსებითი ნაბიჯები არ გადადგმულა. 2014 წელს მიღებული ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობების დადგენილმა ფუნქციებმა უმნიშვნელო ცვლილებები განიცადეს. გთხოვთ, იხილეთ ცხრილი 5 შემდეგი დეტალებისათვის.

4.2 ცხრილი 5. როლებისა და პასუხისმგებლობების დაყოფა: კერძო სექტორი, ეროვნული და მუნიციპალური ხელისუფლება

ფუნქციების ჩამონათვალი	ეროვნული	მუნიციპალიტეტი	კერძო სექტორი
I. განათლება			
1. სკოლამდელი განათლება		x	x
2. საშუალო განათლება	x		x
3. პროფესიული, ტექნიკურ-პროფესიული სკოლები	x		x
4. უნივერსიტეტები	x		x
II. ჯანდაცვა			

ფუნქციების ჩამონათვალი	ეროვნული	მუნიციპალიტეტი	კერძო სექტორი
სასწრაფო სამედიცინო დახმარება	x	x ¹	
დაავადების პრევენცია (პროფილაქტიკური მკურნალობა)	x		
საავადმყოფოები	x		x
საზოგადოებრივი ჯანდაცვა	x	x	
სამედიცინო დაზღვევა	x		x
III. სოციალური უზრუნველყოფა			
ბავშვების და მოზარდების სოციალური უზრუნველყოფა	x		x
უმუშევართა და სოციალურად დაუცველთა დახმარება	x	x	
უსახლკაროთა თავშესაფარი		x	
ინდივიდუალური მომსახურება უნარშეზღუდულებისა და მოხუცებულებისათვის	x	x	
სპეციალური მომსახურება (უსახლკაროებისათვის, სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის, იძულებით გადაადგილებული პირებისათვის და ა.შ)	x	x	
საზოგადოებრივი საბიანო ფონდი		x	
IV. კულტურა, დასვენება, სპორტი			
თეატრები	x	x	x
მუზეუმები	x	x	x
ბიბლიოთეკები	x	x	x
საზოგადოებრივი პარკები	x	x	
სპორტი, დასვენება	x	x	x
კულტურული ცენტრები		x	
V. კომუნალური მომსახურება			
წყალმომარაგება	x	x	
სადრენაჟო სისტემები და კანალიზაცია		x	
ელექტრომომარაგება			x
გაზმომარაგება			x
ცენტრალური გათბობა			x

¹ მხოლოდ თბილისის მუნიციპალიტეტში

ფუნქციების ჩამონათვალი	ეროვნული	მუნიციპალიტეტი	კერძო სექტორი
ტელეფონისა და ინტერნეტის ქსელები			x
VI. საზოგადოებრივი სანიტარია და გარემოს დაცვა			
ნარჩენების შეგროვება და გატანა		x	
ნაგავსაყრელები	x ²		
ქუჩების დასუფთავება		x	
სასაფლაოები		x	
გარემოს დაცვა	x	x ³	
VII. გზები და საზოგადოებრივი ტრანსპორტი			
ავტომაგისტრალები	x	x [?]	
რკინიგზა	x		
მუნიციპალური საზოგადოებრივი ტრანსპორტი		x	x
ქალაქთაშორისო ტრანსპორტი	x		x
პორტები, აეროპორტები, საზღვაო და საჰაერო ტრანსპორტი	x		x
VIII. სივრცითი დაგეგმარება და ეკონომიკური განვითარების დაგეგმარება			
სივრცითი დაგეგმარება	x	x	
ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება		x	
ტურისტული დაგეგმარება	x	x	
IX. ძირითადი ადმინისტრაცია			
ადმინისტრაციული ფუნქციები (ლიცენზიები, ნებართვების გაცემა და ა.შ)	x	x ⁴	
გადასახადებისა და შემოსავლების მოკრება	x	x ⁵	
სახანძრო	x		
სამართალდამცავი ორგანოები	x		

² გარდა თბილისის მუნიციპალიტეტისა

³ უფლებამოსილია საკუთარი ინიციატივით განახორციელოს ის გარემოსდაცვითი აქტივობები, რომლებიც არ არის ცენტრალური ხელისუფლების კომპეტენცია

⁴ გაიცეს მშენებლობის და გარე რეკლამის ნებართვა, თვითმმართველ ქალაქებში ასევე ნებართვა რეგულარული სამგზავრო ტრანსპორტირებაზე

⁵ ადგილობრივი შემოსავლები

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ICCAMRG-ის რჩევაა გარემოსდაცვის მართვის სფეროში ეროვნულმა ხელისუფლებამ მოახდინოს მეტი ფინანსური რესურსისა და გადაწყვეტილების მიღების უფლების დელეგირება ადგილობრივი ხელისუფლებისათვის. კვლევის შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველობების კომპეტენციები ისეთი ბუნებრივი რესურსების მართვაში, როგორცაა მიწა, ტყე, წყალი და მინერალები, მკაცრად შეზღუდულია და ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებებია საჭირო. საქართველოს ცენტრალურმა ხელისუფლებამ უნდა განიხილოს გარემოს დაცვა და მათ შორის კლიმატის ცვლილება, როგორც საკითხი, რომელიც გავლენას ახდენს როგორც ადგილობრივ, ასევე ცენტრალურ მთავრობაზე. ეროვნულ და საერთაშორისო დონეებზე საჭიროა სათანადო ღონისძიებების გატარება, რომლებიც თანხვედრაში იქნებიან შესაბამის ადგილობრივ პოლიტიკასა და აქტივობებთან.

გარდა ამისა, ICCAMGR იძლევა რეკომენდაციას, რომ ეროვნული და მუნიციპალური ხელისუფლებათა როლები და პასუხისმგებლობები ბუნებრივი რესურსების მართვის საკითხებში იყოს უფრო მკაფიოდ განსაზღვრული, სხვადასხვა კანონის შესაბამისობაში მოყვანისა და შესაბამისი ქვემდებარე იურიდიული აქტების გამოცემის გზით. ICCAMGR რეკომენდაციაა, ასევე, რომ ცენტრალურმა მთავრობამ მოახდინოს ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების მართვის დეცენტრალიზაცია და გადასცეს ამ რესურსების ადმინისტრაციული კონტროლი მუნიციპალურ წარმომადგენლებს. ამკარაა, რომ უნდა მოხდეს ბუნებრივ რესურსებს შორის სტრატეგიული განსხვავება, მაგ: ეროვნული და ადგილობრივი მნიშვნელობის ბუნებრივ რესურსებს შორის.

მსგავსი დიფერენციაციის სათანადო მაგალითია კანონი წყლის შესახებ. ეს კანონი განსაზღვრავს დეტალურ განსხვავებას ეროვნული და ადგილობრივი მნიშვნელობის მქონე წყლის ობიექტებს შორის და წარმოადგენს წყლის ყველა რესურსის ჩამონათვალს სტრატეგიული მნიშვნელობის მიხედვით. იგივე მიდგომა შეიძლება გამოყენებულ იქნეს ტყის და მინერალური რესურსების მიმართაც. თუმცა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილ იქნეს ბუნებრივი რესურსების მდგრადი გამოყენება, ICCAMRG-ის რეკომენდაციაა საქართველოს სახელმწიფო კანონმდებლობამ, რაციონალური და მდგრადი გამოყენების შესაბამისი მექანიზმების განთვალისწინებისას, ასევე გაითვალისწინოს მნიშვნელოვანობის კატეგორია. ეს მექანიზმები გათვალისწინებულ შეიძლება იყოს მუნიციპალური მთავრობისთვის დელეგირებული კომპეტენციების - ნებართვების და ლიცენზიების გაცემის სფეროში. იმისათვის, რომ ბუნებრივი რესურსების მდგრადი მართვა უზრუნველყოფილი იყოს მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, ICCAMRG-მ მიმოიხილა რამდენიმე მნიშვნელოვანი გარემოსდაცვითი მართვის კანონი და წარადგინა კონსტრუქციული ცვლილებები. კანონების ანალიზის სრული თავი შეგიძლიათ იხილოთ ანალიზის ამომწურავ ანგარიშში, ხოლო ამ შემაჯამებელ ანგარიშს მოჰყავს საქართველოს ტყის კოდექსის მაგალითი.

4.2.1 მაგალითი: საქართველოს ტყის კოდექსი

საქართველოს ტყეების მართვის მარეგულირებელი კანონმდებლობის განხილვის კვალდაკვალ, ICCAMGR-ის წინადადებაა კანონმდებლობაში ისეთი ცვლილების შეტანა, რაც უზრუნველყოფს ტყეების მდგრად მართვასა და სათემო/კომუნალური ტყეების

სამართავი სისტემის შექმნას. მაგალითად, ტყის მართვასთან დაკავშირებული ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლებების როლები და პასუხისმგებლობები უნდა იყოს განსაზღვრული და კოდიფიცირებული კანონმდებლობის საფუძველზე. გარდა ამისა, ყველა ტყე და შესაბამისი ბუნებრივი რესურსები უნდა იყოს კლასიფიცირებული ქვეყნის შიგნით მათი სტრატეგიული ფასეულობის მიხედვით. სტრატეგიული და ეროვნული მნიშვნელობის ტყეები უნდა შევიდეს ცენტრალური მთავრობის მართვის ქვეშ, ხოლო დანარჩენი ტყეები უნდა შევიდეს შესაბამისი მუნიციპალური ხელისუფლების მმართველობის ქვეშ.

თუ ეს ცვლილებები ამოქმედდება, ტყის ეროვნულ სააგენტოს შეეძლება მოამზადოს საჭირო დოკუმენტაცია შესაბამისი მუნიციპალური მთავრობასთვის ტყეების გადასაცემად, ხოლო შემდგომ დაეხმაროს მუნიციპალიტეტებს ტყეების დარეგისტრირებაში. გარდა ამისა, ცენტრალური მთავრობა შექმნის მუნიციპალური თვითმმართველობის მიერ ლიცენზირებასთან, ნებართვების გაცემასა და ასევე ტყეების მართვა-გამოყენებასთან დაკავშირებულ შესაბამის რეგულაციებს. ამ შემთხვევაში, ეროვნული ხელისუფლება ასევე უზრუნველყოფს ხსენებული რეგულაციების დაცვას.

ტყის მეურნეობასთან დაკავშირებით, ICCAMGR-ის რეკომენდაციაა საქართველოს კანონმდებლობაში შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები და შეიქმნას ადგილობრივი ტყეების შემდეგი კატეგორიები:

- ტყეები, რომლებიც გამოიყენება აღდგენის დანიშნულებით უნდა გამოიყენებოდეს მხოლოდ რეკრეაციული აქტივობებისათვის. ადგილობრივი თვითმმართველობის ერთეულმა უნდა უზრუნველყოს ტყეების აღდგენა;
- ტყეები, რომლებიც გამოიყენება ხის მასალისთვის: ამ კატეგორიაში ადგილობრივი თვითმმართველობები გასცემენ ლიცენზიებს და ნებართვებს ტყეების გამოყენებისათვის შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით;
- ტყეები, რომელსაც ადგილობრივი თემები გამოიყენებენ ძირითადად შეშად: ამ ტყეებზე კონტროლს განახორციელებს შესაბამისი მუნიციპალური მთავრობა, შექმნილი სტანდარტების თანახმად.

ამავდროულად, ვიდრე ადგილობრივი ტყეების მართვის უფლებები გადაეცემათ მუნიციპალიტეტებს, ICCAMGR-ის რეკომენდაციაა ცენტრალურმა ხელისუფლებამ განავითაროს ტყის მართვის გეგმა და შეასრულოს ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთება თითოეული მუნიციპალიტეტისთვის. ამგვარად, ეროვნული მთავრობა თავიდან ააცილებს დამატებით ფინანსურ, მატერიალურ და ადმინისტრაციულ ტვირთს მუნიციპალური მთავრობებს, იმუშავებს რა ტყეების ისეთი გარემოსდაცვითი რისკების თავიდან არიდებაზე, როგორცაა გადაჭარბებული ტყის ჭრა.

4.3 ორგანიზაციული გაუმჯობესება და შესაძლებლობების გაზრდა

4.3.1 გრძელვადიანი ხედვა

იმ შემთხვევებში, როდესაც მუნიციპალური ხელისუფლების ფუნქციები, როლები და პასუხისმგებლობები გაზრდილია, ICCAMGR იძლევა რეკომენდაციას, რომ ადგილობრივ მთავრობას მიეცეს ადმინისტრაციული რესურსი, რათა შექმნას დამატებითი

ადგილობრივი დონის სააგენტოები. მაგალითად, მუნიციპალურ მთავრობას დასჭირდება დამატებითი ოფისები და თანამშრომლები, რათა მოხდეს შესაბამისი ტყეების, წყლების და ბუნებრივი რესურსების მართვა. გარდა ამისა, თუ ბუნებრივი რესურსების მართვის მოწყვლადი ტერიტორიები დეცენტრალიზებულია, შესაბამისი მუნიციპალური მთავრობის თანამშრომლები უნდა გადამზადდნენ ტექნიკურ უნარებსა და ადმინისტრაციულ მართვაში.

იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს გარემოსდაცვითი ინფორმაციის უკეთესი მართვა, ICCAMGR იძლევა რეკომენდაციას, დაწესდეს ინფორმაციის გაცვლის მეთოდი მუნიციპალიტეტებსა და გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს შორის გარემოსდაცვითი, ბუნებრივი რესურსების მართვისა და კლიმატის ცვლილების საკითხებთან დაკავშირებით. ეს საერთო მეთოდოლოგია დაეკვემდებარება გარემოს მდგომარეობის შესახებ საქართველოს ეროვნული მოხსენების მოთხოვნებს. სისტემა დაეხმარება ბუნებრივი რესურსების უფრო ეფექტურ მართვას, გარემოს დაცვას და კლიმატის ცვლილების წინააღმდეგ ბრძოლას ადგილობრივ დონეზე. გარდა ამისა, ინფორმაციის გაცვლის ეს მექანიზმი დაეხმარება ეროვნულ მთავრობას გახდეს უფრო გათვითცნობიერებული ადგილობრივ პრობლემებსა და გამოწვევებში და, თავის მხრივ, შესაბამის მუნიციპალურ მთავრობას გაუწიოს ტექნიკური დახმარება და უზრუნველყოს შესაძლებლობების გაზრდისაკენ მიმართული ღონისძიებები. ვინაიდან გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს არ აქვს ოფისები რეგიონებსა და მუნიციპალიტეტებში, ორმხრივი კომუნიკაციის ეს მექანიზმი სარგებლობას მოუტანს ყველა მხარეს.

4.3.2 ორგანიზაციული მხარდაჭერა კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის და შერბილების ზომების აქტივობებისთვის

დღესდღეობით, ერთ-ერთი გადამწყვეტი ხარვეზი, რომლის წინაშეც დგანან ეროვნული და ადგილობრივი პოლიტიკის შემუშავებლები და გადაწყვეტილების მიმღებები, არის სარწმუნო მონაცემების უკმარისობა. ამიტომ, ICCAMGR იძლევა რეკომენდაციას, რომ ორივემ - ცენტრალურმა და ადგილობრივმა ხელისუფლებებმა შექმნან მუნიციპალური ოფისები, რომლებიც პასუხისმგებელი იქნებიან გარემოს დაცვასთან დაკავშირებული საკითხების შესახებ მონაცემების შეგროვებასა და სისტემატიზაციაზე. ეს ოფისები ხელს შეუწყობენ გადაწყვეტილების მიღების პროცესს და ასევე იქნებიან უფლებამოსილი გამოავლინონ და გაანალიზონ ადგილზე არსებული რეალობა, რომლის წინაშეც დგანან მუნიციპალიტეტები. შესაბამისად, ეს ოფისები და მათი თანამშრომლები გაუწევენ დახმარებას ორივეს - ცენტრალურ და ადგილობრივ ხელისუფლებებს კლიმატის ცვლილებასთან გასამკლავებლად ღონისძიებათა შემუშავებაში. დღესდღეობით, ICCAMGR მხარდაჭერით, მუნიციპალურ დონეზე შეიქმნა 53 კომისია, რომელთაც გააჩნიათ ტექნიკური უნარი და ცოდნა კლიმატის ცვლილებისა და გარემოს დაცვითი საკითხების გამოსავლენად. 2016 წელს, პროექტის დასასრულს შექმნილი იქნება სულ 65 მსგავსი კომისია. ICCAMGR-ს გარდა, USAID-ის მხარდაჭერით, დაბალემისიებიანი განვითარების სტრატეგიების შესაძლებლობათა განვითარების პროგრამა (EC-LEDS) მუშაობს მუნიციპალურ დონეზე 10 სამსახურეობრივი პოზიციის შექმნაზე, რომლებიც შეიმუშავებენ და განახორციელებენ შერბილებისაკენ მიმართულ ღონისძიებებს. შერბილების ზომების შემუშავებისა და გატარების კუთხით, მუნიციპალიტეტებს დახმარებას უწევს, ასევე, მერების შეთანხმებაც. ICCAMGR იძლევა მტკიცე

რეკომენდაციას, რომ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრომ ინფორმაციის შეგროვებისათვის გამოიყენოს ეს საკონტაქტო პირები და აწარმოოს საჭირო საველე სამუშაოები, რომლებიც მხარს დაუჭერენ შერბილების ზომებისა და ადაპტაციის საქმიანობის განვითარებას ადგილობრივ დონეზე.

გარდა ამისა, ICCAMGR-ის რეკომენდაციაა მუნიციპალიტეტებმა ჩამოაყალიბონ ცენტრალურ ხელისუფლებათან აქტიური საკომუნიკაციო არხი, რათა უზრუნველყოფილი იყოს უკუკავშირი გარემოსდაცვით საკითხებზე. აქტიური საკომუნიკაციის არხებისა და უკუკავშირის განვითარების პარალელურად, ეროვნულმა და მუნიციპალურმა ხელისუფლებებმა უნდა განავითარონ დოკუმენტების მართვისა და მონაცემების ანალიზის მსგავსი სისტემები, რათა უზრუნველყონ მონაცემების სინქრონიზაცია. ეს თავსებადობა ხელს შეუწყობს ცენტრალური და ადგილობრივი დონის ანგარიშების და გადაწყვეტილების პროცესების შექმნას. ICCAMGR-ის წინადადებაა შესაბამისმა ეროვნულმა სამინისტროებმა გადაამზადონ ადგილობრივი თვითმმართველობები ინფორმაციის კლასიფიკაციის სხვადასხვა სისტემის შესახებ, რათა ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე გამოყენებად მონაცემთა შეგროვების სისტემებში უზრუნველყოფილი იყოს შესაბამისობა.

როგორც შუალედური დონისძიება, ICCAMGR იძლევა რჩევას, შეიქმნას კადრი თითოეულ მუნიციპალიტეტში, რომელიც შეაგროვებს ინფორმაციას გარემოს დაცვასა და კლიმატის ცვლილებათან დაკავშირებული ინიციატივებისა და პროექტების შესახებ. შესაბამისად, თითოეულ მუნიციპალიტეტს ეყოლება თანამშრომელი, რომელიც პასუხისმგებელი იქნება ზემოაღნიშნულ საკითხებზე, იმუშავებს დაინტერესებულ მხარეებთან და მოამზადებს შესაბამის ინფორმაციას გადაწყვეტილების მიმღებებთან მუნიციპალიტეტის ფარგლებში. აღნიშნული საკონტაქტო პირი, ასევე, გაუწევს კოორდინაციას და მონიტორინგს შესაბამის ინიციატივებს ადგილობრივ დონეზე და გააზიარებს ამ გამოცდილებებს სხვა ადგილობრივი დონის საკონტაქტო პირებთან.

სასურველია, რომ ჯგუფის დანიშნულმა წევრებმა გააზიარონ გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილების საკითხებზე მიღებული ის ცოდნა და გამოცდილება, რომელსაც, დონორთა დახმარებით, სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მიერ ჩატარებულ ტრენინგებისა და გადამზადების პროგრამებზე შეიძენენ. ამგვარად, თითოეულ მუნიციპალიტეტში იქნება გადამზადებული ერთი თანამშრომელი. ასეთი თანამშრომლის არსებობა, ასევე, ხელს შეუწყობს მუნიციპალური ბიუჯეტების ფარგლებში „გარემოსდაცვითი“ ფონდების უფრო ეფექტიან გამოვლენას⁶ და მართვას.

4.4 ფინანსური გაუმჯობესება

დღესდღეობით, ყველა ქართული მუნიციპალიტეტი იყენებს პროგრამულ ბიუჯეტირებას, რათა მოხდეს რესურსების მიმართვა და მართვა სხვადასხვა აქტივობებისა და პროგრამებისთვის. თუმცა, ყველა ბიუჯეტს გააჩნია ქვეპუნქტი ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე შესაბამისი კოდებით. ხარჯვითი ნაწილის ამ ქვეპუნქტს გააჩნია კოდირებული მუხლი იმ თანხისათვის, რომელიც მობილიზებულია გარემოსდაცვითი მართვის

⁶ მაგალითად, ბევრი მუნიციპალური ბიუჯეტი ანაწილებს დაფინანსებას ისეთი აქტივობებისთვის, როგორცაა სამაგრი გაბიონების მშენებლობა. სამწუხაროდ, ეს აქტივობა არ არის დაკავშირებული არც გარემოს დაცვასთან და არც კლიმატის ცვლილებასთან, მაშინ, როდესაც გაბიონის მშენებლობა ორივე კატეგორიაში ხვდება.

აქტივობებზე დასახარჯად. თუმცა, ზოგადი პროგრამული ბიუჯეტი სრულად არ ასახავს ამ კოდირებულ ქვეპუნქტებს, ანუ პროგრამულ ბიუჯეტებში არ არსებობს პროგრამები, რომლებიც პირდაპირ მიმართულია გარემოსდაცვით აქტივობებზე. ამ სისტემის მიხედვით, საქართველოს მუნიციპალურ ბიუჯეტებში გარემოსდაცვითი და ბუნებრივი კატასტროფების პრევენციული ღონისძიებები კლასიფიცირებულია როგორც ინფრასტრუქტურული პროგრამები.

გამომდინარე აქედან, ICCAMGR-ის რეკომენდაციაა მოხდეს მუნიციპალური პროგრამული ბიუჯეტების რესტრუქტურისა, გარემოს დაცვისა და კლიმატის ცვლილებებზე მომუშავე პროგრამების მუნიციპალურ პროგრამულ ბიუჯეტებში ინტეგრირების კუთხით, საპროგრამო კოდით 06.00. ამ ტიპის ბიუჯეტის მიხედვით, ადგილობრივმა მთავრობამ უნდა გადმოიტანოს გარემოსდაცვითი აქტივობები ინფრასტრუქტურის ბიუჯეტიდან ახლადშექმნილ, გარემოს დაცვაზე პასუხისმგებელ პროგრამაში.

გარემოსდაცვითი მართვის გაუმჯობესებისა და კლიმატის ცვლილების საკითხებთან გამკლავების მიზნით, ICCAMGR-ის რჩევაა მუნიციპალური ბიუჯეტის სტრუქტურაში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

- მუნიციპალურ ბიუჯეტებში შეიქმნას სპეციალური პროგრამა სახელწოდებით გარემოს დაცვა და კლიმატის ცვლილებაზე ზემოქმედება, პროგრამული კოდით 06.00, და გარემოს დაცვის აქტივობები გადმოტანილი იქნას ინფრასტრუქტურული ბიუჯეტიდან ამ პროგრამაში;
- შეიქმნას პროგრამა სახელწოდებით გარემოსდაცვითი მართვა და რეგულაციები და კლიმატის ცვლილებაზე ზემოქმედება, რომელიც შესაძლებლობას მისცემს მუნიციპალიტეტებს დაიქირაონ თანამშრომლები და გასწიონ ადმინისტრაციული ხარჯები. ეს პროგრამა მნიშვნელოვანი იქნება მერების შეთანხმების ხელმძღვანელი მუნიციპალიტეტებისთვის. იმ შემთხვევაში, თუ ეს პროგრამა არ შეიქმნება ადგილობრივი ბიუჯეტების ფარგლებში, მუნიციპალიტეტებს გაუჭირდებათ იმ ვალდებულებების შესრულება, რომელიც მერების შეთანხმების ფარგლებში აიღეს.
- მნიშვნელოვანია, რომ კლიმატის ცვლილებისადმი მოწყვლადობის კრიტერიუმი იყოს სწორად დაანგარიშებული და დამტკიცებული, რათა მუნიციპალიტეტებს საშუალება მიეცეთ მოიძიონ სახსრები კლიმატის ცვლილების შერბილების ზომებისათვის. ამჟამად, მუნიციპალიტეტებს შეუძლიათ მიოთხოვონ დაფინანსება მხოლოდ კატასტროფების შემთხვევაში, რაც, საბოლოოდ ჯამში უფრო ძვირი უჯდებათ გადასახდელების გადამხდელს.
- მნიშვნელოვანია, განხორციელდეს ფისკალური დეცენტრალიზაცია, რათა მუნიციპალიტეტს შეეძლოს ორივე - მოახდინოს უფრო მეტი სახსრების მობილიზება და მართოს ეს ფონდები ადგილობრივი საჭიროებებიდან გამომდინარე. მაგალითები საერთაშორისო დონეზე აქტიურად გვიჩვენებენ, რომ მუნიციპალიტეტები ფისკალური ავტონომიით უფრო ეფექტურად ახორციელებენ კლიმატის ცვლილების შერბილების ზომებს. ამჟამად, საქართველოს მუნიციპალიტეტებს გააჩნიათ ინფრასტრუქტურული პროექტების მხოლოდ საკოორდინაციო ფუნქცია.

5. ხუთი საპილოტე მუნიციპალიტეტი: ძირითადი შედეგები

5.1 ფუნქციების, როლებისა და პასუხისმგებლობების დაყოფა

ანალიზმა მიმოიხილა გარემოსდაცვით მართვასთან დაკავშირებული როლებისა და პასუხისმგებლობების დაყოფა ხუთი საპილოტე მუნიციპალიტეტის ფარგლებში. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ფოთის მუნიციპალიტეტის მთავრობას ჰქონდა ოფისები, უფრო მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქციებით, რომლებიც პასუხისმგებელი არიან კლიმატის ცვლილებისა და გარემოსდაცვითი აქტივობების შექმნასა და განხორციელებაზე. გარდა ამისა, მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ მუნიციპალური ბიუჯეტის ფარგლებში, გარემოსდაცვითი რეაბილიტაციის აქტივობების პრიორიტეტიზაცია დამოკიდებული იყო მუნიციპალური მთავრობის ცოდნისა და ინფორმაციის ფლობის ხარისხზე. დანარჩენ ოთხ სამიზნე მუნიციპალიტეტში, (ახმეტა, დედოფლისწყარო, ქობულეთი და მესტია) შემდეგი პრობლემები და საკითხები იქნა იდენტიფიცირებული:

მნიშვნელოვანი პრობლემები და საკითხები:

- ტყეებს მართავს გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო, კერძოდ კი, სატყეო სააგენტო. შესაბამისად, მუნიციპალურ მთავრობებს არ გააჩნიათ უფლება და რესურსი მართონ და მოახდინონ ტყის სარგებლობის რეგულაცია.
- სამოვრებს, რომლებიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს და გამოყენებულია ადგილობრივების მიერ, *იურუდიულად*, განკარგავს ეკონომიკის სამინისტრო. ამჟამად, ეკონომიკის სამინისტროს არ აქვს ადგილობრივი ოფისები, რათა მართოს სამოვრები და ყველა საკითხის შუამდგომლობა ხდება ცენტრალურ დონეზე. ამრიგად, ადგილობრივ თემს და მუნიციპალიტეტს არ გააჩნია რაიმე უფლება და რესურსი მართოს სამოვრები და შესაბამისად, არ ხარჯავს რაიმე რესურსს, რათა მოუაროს ან აღადგინოს სამოვრები.
- ნაგავსაყრელებს მართავს მყარი ნარჩენების მართვის კომპანია, რომელიც არის რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებაში, მაშინ როცა მყარი ნარჩენების შეგროვება ხდება მუნიციპალიტეტის მიერ. ეს კომპანია უწყევს ზედამხედველობას თანმიმდევრულ გაუმჯობესებას და არსებული ნაგავსაყრელების კონსერვაციას საქართველოში იმ მიზნით, რომ შემცირდეს მათი ნეგატიური განვლენა ადამიანებსა და გარემოზე. თუმცა, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის თანახმად, ადგილობრივი ნარჩენების მართვა არის შესაბამისი მუნიციპალიტეტის პასუხისმგებლობა. შესაბამისად, საქართველოს დღევანდელი კანონმდებლობა უნდა გადაიხედოს, რათა აღმოფხვრილი იქნეს ასეთი ფუნქციური შეუსაბამობები.
- წყლის რესურსი ხდება შპს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის კომპეტენციის ფარგლებში, რომელიც ექვემდებარება რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს. კომპანია დაკავებულია წყლის მოპოვება, გამდინარე წყლების გაწმენდა და წყალმომარაგება, წყლის და საკანალიზაციო

მიღების დაგეგმვა, მშენებლობა, გაყვანილობა, შენახვა და ექსპლუატაციით. გარდა ამისა, კომპანია უზრუნველყოფს წყლით და საკანალიზაციო სისტემით საქართველოს ყველა მუნიციპალიტეტს გარდა თბილისის, მცხეთის, რუსთავის, საჩხერის და აჭარისა. კომპანიას აქვს 6 რეგიონული ოფისი და 50 მომსახურების ცენტრი ქვეყნის მასშტაბით. შესაბამისად, მაშინ, როდესაც მუნიციპალური ბიუჯეტები ითვალისწინებენ წყალმომარაგებას და წყლის აღდგენის პროექტებს, ზოგადი აღქმა მუნიციპალიტეტის მთავრობების ფარგლებში არის ის, რომ წყლის მიწოდება და აღდგენითი სამუშაოები არის გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის კომპეტენცია. თუმცა, გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია არ ფარავს რამდენიმე მუნიციპალურ ტერიტორიას და შესაბამისად, ეს ტერიტორიები არ არიან დაკავშირებული ეროვნული საკანალიზაციო და წყალმომარაგების ქსელებთან. ამავდროულად, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი ამბობს, რომ ორივე - საკანალიზაციო მომსახურება და წყალმომარაგება არის მუნიციპალიტეტის ფუნქციები.

- ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე ბუნებრივ კატასტროფებზე რეაგირების და პრევენციული აქტივობების უკმარისობაა. იურიდიულად, ბუნებრივი კატასტროფების პრევენციის და მასთან დაკავშირებული რისკების შეფასების პასუხისმგებლობა აკისრია გარემოს და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს და გარემოს ეროვნულ სააგენტოს. უფრო მეტიც, ეს სააგენტოები საკუთარ მიდგომებში ხშირად უფრო რეაქტიულები არიან, ვიდრე პრევენციაზე ორიენტირებულები.

5.2 ფინანსური რესურსები

კვლევის შედეგების მიხედვით, ხუთივე საპილოტე მუნიციპალიტეტი განიცდის გარემოს დაცვისა და მართვისათვის განკუთვნილი ფინანსური რესურსების სიმწირეს. როგორც უკვე ვთქვით, მაშინ, როდესაც მუნიციპალურ ბიუჯეტებს აქვთ ქვე-პუნქტი, განკუთვნილი გარემოსდაცვითი აქტივობებისთვის, მთლიანი მუნიციპალური პროგრამული ბიუჯეტი არ მოიცავს გარემოსდაცვითი მართვის აქტივობებს.

მნიშვნელოვანი პრობლემები და საკითხები:

საპილოტე მუნიციპალიტეტების 2015 წლისთვის დაგეგმილი ბიუჯეტების მიხედვით, ხარჯვითი ნაწილი გარემოს დაცვისთვის, ფუნქციონალური კოდი 705, არათანაბრადაა წარმოდგენილი. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ საპილოტე მუნიციპალიტეტები კი არ უგულვებელყოფენ გარემოსდაცვით საკითხებს, არამედ უფრო განიცდიან ფინანსური რესურსების, გარემოსდაცვით საკითხებზე ყოველმხრივი მონაცემების და ასევე, ტექნიკური უნარების და ცოდნის ნაკლებობას. მაგალითად, ქობულეთის მუნიციპალიტეტი, ხარჯვითი ნაწილის ქვეპუნქტში, გამოყოფს მისი ბიუჯეტის 20%-ს გარემოსდაცვით აქტივობებზე, ხოლო ახმეტის მუნიციპალიტეტმა ახლახანს გამოყო სახსრები თუშეთის დაცული ტერიტორიის მართვისთვის. გთხოვთ, ქვემოთ იხილოთ ძირითადი შედეგები 5 საპილოტე მუნიციპალიტეტიდან:

- ფოთში გარემოსდაცვითი ხარჯვითი ნაწილი მოიცავს დაგეგმილი ბიუჯეტის 1%-ს, რაც 2 მილიონ ლარს უდრის. არსებობს სარეზერვო ფონდი, რომელიც 150 000 ლარს მოიცავს.

- ახმეტის მუნიციპალიტეტში გარემოსდაცვითი ხარჯვითი ნაწილი მოიცავს მისი ბიუჯეტის 3%-ს. გარდა ამისა, მისი ბიუჯეტის 1%-ზე ცოტა მეტი გათვალისწინებულია დაცული ტერიტორიების მართვისთვის. სარეზერვო ფონდი არის 90 000 ლარი.
- ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხარჯვითი ნაწილის მიხედვით, მისი ბიუჯეტის 20% გათვალისწინებულია გარემოსდაცვითი ღონისძიებებისათვის. გარდა ამისა, ბიუჯეტი მოიცავს პროგრამულ აქტივობებს წყლის სისტემის რეაბილიტაციისთვის და ასევე გამწვანებისთვის. სარეზერვო ფონდი შეადგენს 80 000 ლარს.
- მესტიის მუნიციპალიტეტის ხარჯვითი ნაწილის მიხედვით, გარემოსდაცვით საქმიანობაზე იხარჯება მისი ბიუჯეტის 5%-ზე ცოტა მეტი. გარდა ამისა, ბიუჯეტის 2%-ზე ცოტა მეტი გამოყოფილია მდინარეების სანაპიროების დაცვისთვის ან გაბიონებისთვის და საირიგაციო არხებისთვის. მაშინ, როდესაც 7% გათვალისწინებულია სოფლის მეურნეობის განვითარების პროგრამებისთვის. სარეზერვო ფონდი არის 79 900 ლარი.
- დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯვითი ნაწილი გამოყოფს 9,6%-ს გარემოსდაცვით ღონისძიებებზე. გარდა ამისა, ბიუჯეტის 8% განაწილებულია გაუთვალისწინებელი შემთხვევების მართვისთვის მაშინ, როდესაც სარეზერვო ფონდი შეადგენს დაახლოებით 50 000 ლარს.

5.3 ადამიანური რესურსები

მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ საპილოტე მუნიციპალიტეტები განიცდიან საბუთების მართვის სისტემის და გარემოსდაცვით მართვაში ტექნიკური ცოდნის ნაკლებობას, შესაბამისად, თანამშრომლები არ არიან გადამზადებული ამ მიმართულებით. გარდა ამისა, არც მუნიციპალური ბიუჯეტები ითვალისწინებენ შესაძლებლობების გაზრდის კურსებს და არც ეროვნული სამთავრობო სამინისტროები სთავაზობენ მუნიციპალიტეტებს შესაბამის ტრენინგებს და შესაძლებლობების გაზრდის პროგრამებს. მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ ასეთი ტრენინგები უფრო მეტად საერთაშორისო დონორების დახმარებით არის წარმოდგენილი. გამომდინარე აქედან, მუნიციპალიტეტები ხშირად უძღვები არიან შეიმუშავონ და განახორციელონ გარემოსდაცვის მართვის პოლიტიკა და რაიმე სახის აქტივობები. ICCAMGR-ის რეკომენდაციას ცენტრალურმა მთავრობამ მხარი დაუჭიროს მუნიციპალიტეტებს, რათა შესაბამისმა თანამშრომლებმა გაიარონ გადამზადება გარემოს მართვისა და კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციასა და შერბილების საკითხებში. შემდგომში, გადამზადებულ კადრებს დაევალებათ დოკუმენტების და ინფორმაციის მართვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა შესაბამისი ინფორმაციის და მონაცემების ჩაწერა.

6. დასკვნა:

დასკვნაში უნდა აღინიშნოს, რომ „ადგილობრივ თვითმმართველობათა შესაძლებლობების ანალიზმა“ ინფორმაციის შეგროვების და მიმოხილვის გზით შეაფასა საქართველოს ხუთი საპილოტე მუნიციპალიტეტი შემდეგი მიმართულებებით: წყლის რესურსების მართვა, ნარჩენების მართვა, კლიმატის ცვლილება, გაუდაზნოება, ტყის

რესურსების მართვა, მინერალური რესურსების გამოყენება, ბუნებრივი კატასტროფები და ასევე მიწის რესურსების მართვა.

კვლევების შედეგად დადგინდა, რომ:

- არჩეული წარმომადგენლები ხუთ სამიზნე მუნიციპალიტეტში, ძირითად შემთხვევებში, ვერ უზრუნველყოფენ მათ მუნიციპალიტეტებში არსებული ბუნებრივი რესურსების მართვას;
- მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები არ იყვნენ სათანადოდ ინფორმირებულნი გარემოსდაცვითი მართვის საკითხების შესახებ საკუთარი მუნიციპალიტეტის ფარგლებში;
- ადგილობრივი წარმომადგენლები უძლურნი იყვნენ მიეღოთ ინფორმაციაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები საჭირო შერბილების და ადაპტაციის ზომების შესახებ;
- ეროვნულ კანონმდებლობაზე დაფუძნებით, ადგილობრივი წარმომადგენლების ძალაუფლება მკაცრად შეზღუდულია მათ შესაბამის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსების მართვაში.

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით, ICCAMGR-ის რეკომენდაციაა ცენტრალურმა მთავრობამ, გარემოს მართვის სფეროში, მეტი ფინანსური რესურსების და გადაწყვეტილების მიღების უფლების დელეგირება მოახდინოს მუნიციპალურ მთავრობაზე. საქართველოს ცენტრალურმა მთავრობამ უნდა განიხილოს გარემოს დაცვა, მათ შორის კლიმატის ცვლილება, როგორც პრობლემა, რომელიც გავლენას ახდენს როგორც ადგილობრივ თემებზე, ასევე ეროვნულ მთავრობაზე. ღონისძიებები, რომელთა გატარებაც საჭიროა როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე, უნდა შეესაბამებოდეს ადგილობრივ პოლიტიკასა და საქმიანობას.

დასასრულს, ICCAMGR-ის რჩევაა, რომ ბუნებრივი რესურსების მართვასთან დაკავშირებული როლები და პასუხისმგებლობები მკაფიოდ იყოს განსაზღვრული ცენტრალურ და ადგილობრივ მთავრობებს შორის. ამ საკითხების გამო მუნიციპალიტეტებს ხშირად არ აქვთ შესაძლებლობა შეიმუშავონ პოლიტიკა და განახორციელონ ღონისძიებები გარემოს დაცვის და მართვის სფეროში. ICCAMGR-ის რეკომენდაციაა ეროვნულმა მთავრობამ დაეხმაროს მუნიციპალიტეტებს შერჩეული თანამშრომლების გადამზადებაში გარემოს დაცვის მართვის, კლიმატის ცვლილებისადმი ადაპტაციის და შერბილების საკითხებში. გარდა ამისა, შერჩეულ თანამშრომლებს დაევალებათ დოკუმენტების და ინფორმაციის მართვა, რათა უზრუნველყოფილი იყოს ყველა შესაბამისი ინფორმაციის და მონაცემების ჩაწერა. იმის ნიშნად, რომ შესაძლებლობათა გაზრდის ეს საშუალება არის ეკონომიკურად ეფექტური და მდგრადი, ეროვნულ მთავრობას შეუძლია გამოიყენოს იმ საკონტაქტო პირების მომსახურება მუნიციპალიტეტებში, რომლებიც გადამზადდნენ პროექტების, ICCAMGR, EC-LEDS და CoM დახმარებით. აღნიშნული ზომების მიღების შემდეგ, ICCAMGR იძლევა რეკომენდაციას, რომ ცენტრალურმა მთავრობამ მოახდინოს ადგილობრივი ბუნებრივი რესურსების მართვის დეცენტრალიზაცია და ამ რესურსებზე ადმინისტრაციული კოტროლი გადასცეს მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებს.